

პრაქტიკული ინფორმაცია უცხოელი გაცვლითი სტუდენტებისთვის

ფინანსური საკითხები

გაცვლითი სტუდენტები არ იხდიან სწავლის საფასურს

თუ თქვენ ხართ ერასმუსის ან ორმხრივი გაცვლითი პროგრამის სტუდენტი უცხოური პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელთანაც გვაქვს გაცვლითი ხელშეკრულება, თქვენ არ უნდა გადაიხადოთ სწავლის საფასური. ერასმუსის გაცვლით სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ მშობლიურ უნივერსიტეტს ერასმუსის სტიპენდიასთან დაკავშირებით.

საყოფაცხოვრებო ხარჯები

საყოფაცხოვრებო ხარჯები ინდივიდუალურია, თუმცა ცხრილში იხილავთ რამდენიმე მაგალითს, რაც დაგეხმარებათ ყოველთვიური ბიუჯეტის ფორმირებაში (ფასები ღებდაქალაქისთვის - თბილისი)

1 ევრო = 3.6034 ქართულ ლარს (2020 წლის აგვისტოსთვის მონაცემებით; გაცვლითი კურსის შესამოწმებლად, ეწვიეთ [InforEuro](https://www.inforeuro.com))

კატეგორია	ფასები
ბინის დაქირავება ქალაქის ცენტრში	900 - 1300 ლარი /თვეში
კვება და დღიური ხარჯები:	400 - 500 ლარი /თვეში
ადგილობრივი მარის ღირებულება	0.21 თეთრი/წუთი/ საქართველოში
მარის ღირებულება ევროპაში	0.88 თეთრი /წუთი /ევროპაში
ავტობუსის/მეტროს ბილეთი: ერთი გზა	0.50 თეთრი/ ერთი გზა

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ:

<https://www.numbeo.com/cost-of-living/in/Tbilisi>

<https://www.expatistan.com/cost-of-living/tbilisi>

საცხოვრებელი

ამ ეტაპზე, GIPA-ს არ აქვს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. შესაბამისად, უცხოელმა გაცვლითმა სტუდენტებმა თავადვე უნდა იმრუნონ თბილისში ბინის დაქირავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან, GIPA-ს საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დეპარტამენტი დაეხმარება უცხოელ სტუდენტებს და პერსონალს, თბილისში შესაბამისი საცხოვრებლის მოძიებაში.

თბილისში ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულებში:

<https://www.myhome.ge/en/>

<https://ganxadebebi.ge/en>

<https://place.ge/en>

[Airbnb Tbilisi](#)

ვიზა

თქვენი მოქალაქეობიდან გამომდინარე შეიძლება დაგჭირდეთ ან არ დაგჭირდეთ ვიზა საქართველოში შემოსასვლელად. გთხოვთ, [დაუკავშირდეთ საქართველოს საელჩოს/ საკონსულოს თქვენს ქვეყანაში](#) ან გაეცნოთ [საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდს](#), დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ბინადრობის წესებთან დაკავშირებით.

მოქალაქეებსა და პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ აქ ჩამოთვლილ ქვეყნებში, შეუძლიათ შემოვიდნენ და დარჩნენ საქართველოში უვიზოდ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შეუძლიათ შემოსვლა როგორც სამგზავრო დოკუმენტით, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის მოწმობით. პირადობის მოწმობაში უნდა იყოს მითითებული სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირის ფოტო. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის ვიზის გარეშე ყოფნის მაქსიმალური პერიოდი ერთი წელია.

ღაზღვევა

თბილისში ვიზიტის მოსამზადებლად ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. GIPA გირჩევთ, რომ საქართველოში მოგზაურობამდე დაუკავშირდეთ თქვენს ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიას და გაარკვიოთ, თუ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ სწორად იყოთ დაზღვეული სამედიცინო ხარჯებისგან.

აღგერნატიულად, ასევე შესაძლებელია, რომ გააფორმოთ სტუდენტური ხელშეკრულება საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერთან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში, დარწმუნდით, რომ თქვენი პირადი სამოგზაურო დაზღვევა ვალიდურია ქართული ჯანმრთელობის დაზღვევის ძალაში შესვლამდე.

სასარგებლო ბმულები:

<http://www.visitgeorgia.ge>

<http://info-tbilisi.com>